

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №125  
2023 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

„საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

## მუხლი 1

დამტკიცდეს „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესი“ თანდართული რედაქციით.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

„საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან/და საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით (შემდგომში – შეთანხმება), გათვალისწინებულ ანგარიშგების წესს.

2. შეთანხმებით გათვალისწინებული ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ წესით, რეგულირდება შეთანხმებით, ანგარიშგების საერთო სტანდარტითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. შეთანხმების მიზნებისთვის, ფინანსური ინსტიტუტის რეზიდენტობა განისაზღვრება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4. ტერმინებს, რომლებიც არ არის განმარტებული ამ წესში, აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია შეთანხმებით ან/და ანგარიშგების საერთო სტანდარტით.



## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანგარიშგების საერთო სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი) – საგადასახადო მიზნებისათვის „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ სტანდარტი (კომენტარების ჩათვლით), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და დიდი ოცეულის (G20) ქვეყნების მიერ;

ბ) ფინანსური ინსტიტუტი – შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული საქართველოს ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტი;

გ) გზავნილი – შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ინსტიტუტის მიერ წარედგინება საგადასახადო ორგანოს მარკირების გაფართოებადი ენის (XML) სქემით;

დ) პირველადი გზავნილი – გზავნილი, რომელიც ფინანსური ინსტიტუტის მიერ წარედგინება საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს ყოველი წლის 30 ივნისისა;

ე) ნულოვანი გზავნილი – გზავნილი, რომლის თანახმად ფინანსურ ინსტიტუტს არ გააჩნია ანგარიშგებას დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიში;

ვ) კორექტირებული გზავნილი – გზავნილი, რომელშიც ამ წესის შესაბამისად კორექტირებულია პირველად/ნულოვან გზავნილში არსებული მონაცემები;

ზ) ახალი ანგარიში – ნებისმიერი ფინანსური ანგარიში, რომელიც გახსნილია 2023 წლის 1 იანვარს და შემდგომ პერიოდში ფიზიკური პირის/სუბიექტის მიერ;

თ) უკვე არსებული ანგარიში – ნებისმიერი ფინანსური ანგარიში, რომელიც გახსნილია 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ფიზიკური პირის/სუბიექტის მიერ;

ი) მაღალი ღირებულების ანგარიში – ფიზიკური პირის უკვე არსებული ფინანსური ანგარიში, რომელზე რიცხული აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ვალუტაში) 2022 წლის 31 დეკემბრის ან ნებისმიერი შემდეგი კალენდარული წლის 31 დეკემბრის მონაცემებით;

კ) დაბალი ღირებულების ანგარიში – ფიზიკური პირის უკვე არსებული ფინანსური ანგარიში, რომელზე რიცხული აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ვალუტაში) 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით;

ლ) საანგარიშო პერიოდი – კალენდარული წელი;

მ) სუბიექტი – იურიდიულ პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

ნ) არადოკუმენტირებული ანგარიშები – უკვე არსებული ფინანსური ანგარიში, რომლის შესახებ ფინანსურ ინსტიტუტში არ იძებნება შესაბამისი მონაცემები და ინფორმაციის მოძიება ფინანსური ინსტიტუტის მიერ ვერ ხორციელდება თვითდამოწმების ან დოკუმენტური მტკიცებულების მოპოვების გზით.

## მუხლი 3. ფართო მიდგომა

ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია გამოიყენოს სტანდარტით განსაზღვრული ფართო მიდგომა სათანადო პროცედურების და ანგარიშგების განხორციელებისას.



#### **მუხლი 4. ფინანსური ანგარიშების მიმართ სათანადო პროცედურების განხორციელება**

1. ფინანსურმა ინსტიტუტმა ფინანსურ ანგარიშებთან მიმართებაში სტანდარტის შესაბამისად უნდა განახორციელოს ამავე სტანდარტით გათვალისწინებული სათანადო პროცედურები.
2. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია განახორციელოს ახალი ანგარიშებისთვის განსაზღვრული სათანადო პროცედურები უკვე არსებული ანგარიშების მიმართაც.
3. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია განახორციელოს მაღალი ღირებულების ანგარიშებისთვის განსაზღვრული სათანადო პროცედურები დაბალი ღირებულების ანგარიშების მიმართაც.

#### **მუხლი 5. ფიზიკური პირის ანგარიშები**

1. ფინანსური ინსტიტუტის მიერ მაღალი ღირებულების უკვე არსებული ანგარიშების გადახედვა, სტანდარტით დადგენილი წესით, უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.
2. თუ ფინანსური ინსტიტუტის მიერ უკვე არსებულ ანგარიშზე რიცხული აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში) 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მაგრამ აღნიშნულ ზღვარს აღემატება ნებისმიერი შემდეგი კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია მომდევნო კალენდარული წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელოს სათანადო პროცედურები, რომლებიც დადგენილია მაღალი ღირებულების ანგარიშებისთვის.
3. დაბალი ღირებულების ანგარიშების გადახედვა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა, სტანდარტით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. 2024 წლის 31 დეკემბრამდე იდენტიფიცირებული ანგარიშგებას დაქვემდებარებული დაბალი ღირებულების ანგარიშები, ანგარიშგებას ექვემდებარება ასეთად იდენტიფიცირების წლიდან.

#### **მუხლი 6. საცხოვრებელი მისამართის ტესტი და ელექტრონული ჩანაწერის ძიება**

1. იმ მიზნით, რომ განისაზღვროს ექვემდებარება თუ არა ანგარიში ანგარიშგებას ფიზიკური პირების უკვე არსებულ დაბალი ღირებულების ანგარიშებთან მიმართებაში, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია განახორციელოს საცხოვრებელი მისამართის ტესტი ან ელექტრონული ჩანაწერის ძიება.
2. საცხოვრებელი მისამართის ტესტის გამოსაყენებლად ფინანსურ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა მოახდინოს დოკუმენტებზე დაყრდნობით ანგარიშის მფლობელის საცხოვრებელი მისამართის დადგენა.
3. ამ მუხლის მიზნებისათვის, იმისათვის რომ ფინანსურმა ინსტიტუტმა განსაზღვროს არის თუ არა ანგარიშის მფლობელი ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელი ფიზიკური პირი მიიჩნიოს იმ იურისდიქციის რეზიდენტად, სადაც მდებარეობს ამ პირის მისამართი, იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:
  - ა) ანგარიშმცემ ფინანსურ ინსტიტუტს გააჩნია ჩანაწერები ანგარიშის მფლობელი ფიზიკური პირის საცხოვრებელი მისამართის შესახებ;

ბ) მითითებული მისამართი წარმოადგენს ფიზიკური პირის მოქმედ მისამართს;

გ) მითითებული მისამართის შესახებ არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება.



4. „საფოსტო ყუთისა“ და „დროებითი საფოსტო“ მისამართები არ ჩაითვლება საცხოვრებელ მისამართად. ფიზიკური პირის მოქმედ მისამართად ითვლება მისამართი, რომლის შესახებ ინფორმაცია ყველაზე ბოლოს აქვს მიღებული ფინანსურ ინსტიტუტს. ამ პუნქტის მიზნებისათვის, მისამართი, საიდანაც საფოსტო გზავნილი დაბრუნებულია ჩაუბარებლად, არ გაითვალისწინება.

5. ამ მუხლით განსაზღვრული ელექტრონული ჩანაწერის ძიებას ფინანსური ინსტიტუტი ახორციელებს სტანდარტით დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 7. სუბიექტის ანგარიშები**

1. ფინანსური ინსტიტუტის მიერ სუბიექტის უკვე არსებული ანგარიშების გადახედვა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა სტანდარტით დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კალენდარული წლის ბოლოსთვის ანგარიშზე არსებული აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 250,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ვალუტაში) და ფინანსური ინსტიტუტი იყენებს ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

2. 2024 წლის 31 დეკემბრამდე იდენტიფიცირებული ანგარიშგებას დაქვემდებარებული სუბიექტის უკვე არსებული ანგარიშები ანგარიშგებას ექვემდებარება ასეთად იდენტიფიცირების წლიდან.

### **მუხლი 8. გამონაკლისი სუბიექტთან მიმართებაში**

ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია სუბიექტის უკვე არსებული ანგარიშების გადახედვა, იდენტიფიკაცია და ანგარიშგება არ განახორციელოს იმ ანგარიშებთან მიმართებაში, რომელთა აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 250,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ვალუტაში) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული გამონაკლისი მოქმედებს იმ მომენტამდე, ვიდრე ნებისმიერი შემდეგი კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშზე არსებული აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ გადააჭარბებს 250,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ვალუტაში).

### **მუხლი 9. სუბიექტის უკვე არსებული ანგარიშების მიმართ ინდუსტრიის სტანდარტიზებული კოდების სისტემისა და მაჩვენებლების გამოყენება**

1. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია დოკუმენტური მტკიცებულების სახით გამოიყენოს მის ჩანაწერებში არსებული ნებისმიერი კლასიფიკაცია ანგარიშის მფლობელთან დაკავშირებით, რომელიც:

- ა) დადგენილია ინდუსტრიის სტანდარტიზებული კოდების სისტემის საფუძველზე;
- ბ) აღრიცხულია ფინანსური ინსტიტუტის მიერ ჩვეული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, AML ან KYC პროცედურების ან სხვა მარეგულირებელი მიზნებისათვის;
- გ) განხორციელდა ფინანსური ინსტიტუტის მიერ არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა იმ პირობით, რომ ფინანსურმა ინსტიტუტმა არ იცოდა ან არ შეიძლება სცოდნოდა ასეთი კლასიფიკაციის უზუსტობის ან არასანდოობის შესახებ.

2. ინდუსტრიის სტანდარტიზებული კოდების სისტემა გულისხმობს კოდების სისტემას, რომელიც გამოიყენება ბიზნესსაქმიანობის განმახორციელებელი პირების ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით კლასიფიკაციისათვის და არ მოიცავს საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაყენებელ კოდებს.



## **მუხლი 10. ჯგუფის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულება და ჯგუფის ანუიტეტის ხელშეკრულება**

1. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია ანგარიშგებას დაქვემდებარებულ ანგარიშად არ მიიჩნიოს ისეთი ანგარიში, რომელიც გახსნილია ჯგუფის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევისა ან ჯგუფის ანუიტეტის ხელშეკრულებების საფუძველზე, იმ მომენტამდე, ვიდრე არ დადგება თანამშრომლისთვის/სერტიფიკატის მფლობელისთვის/ბენეფიციარისთვის თანხის გადახდის ვალდებულება, თუ ეს ფინანსური ანგარიში, რომელიც წარმოადგენს წევრის წილს ჯგუფის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ან ჯგუფის ანუიტეტის ხელშეკრულებაში, აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ჯგუფის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევისა და ჯგუფის ანუიტეტის ხელშეკრულებები გაფორმებულია დამსაქმებელთან და მოიცავს 25 ან მეტ თანამშრომელს/სერტიფიკატის მფლობელს;

ბ) თანამშრომელი/სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი თანხა თავისი წილის შესაბამისად, აგრეთვე, დაასახელოს თანხის მიმღები პირი (ბენეფიციარი), აღნიშნული თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში; და

გ) თანამშრომლის/სერტიფიკატის მფლობელის/ბენეფიციარისთვის გადასახდელი მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1,000,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში).

2. ჯგუფის ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულება არის ნაღდი ფულადი სახსრების ღირებულების დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს ანაზღაურების გადახდას იმ ფიზიკური პირებისთვის, რომელიც აფილირებულნი არიან დამსაქმებლის, სავაჭრო ასოციაციის, პროფკავშირის, ან სხვა ასოციაციებისა და ჯგუფების მეშვეობით; და

ბ) ითვალისწინებს სადაზღვევო პრემიის გადახდას ჯგუფის თითოეული წევრისთვის (ან ჯგუფში შემავალი კლასის წევრისთვის), მიუხედავად ჯგუფის წევრის (ან წევრთა კლასის) ჯანმრთელობის ინდივიდუალური მახასიათებლებისა, გარდა ასაკისა, სქესისა და თამბაქოს მოხმარების ჩვევისა.

3. ჯგუფის ანუიტეტის ხელშეკრულება არის ანუიტეტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კრედიტორები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც აფილირებულნი არიან დამსაქმებლის, სავაჭრო ასოციაციის, პროფკავშირის ან სხვა ასოციაციებისა თუ ჯგუფების მეშვეობით.

## **მუხლი 11. ტრასტის მაკონტროლებელი პირი**

თუ ტრასტი წარმოადგენს პასიურ არაფინანსურ სუბიექტს, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია მოახდინოს დისკრეციული ბენეფიციარების შესახებ ანგარიშგება მხოლოდ იმ წელს, როდესაც ისინი იღებენ სარგებელს ტრასტიდან. ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია გააჩნდეს შესაბამისი გარანტიები და პროცედურა, რათა გამოავლინოს განხორციელდა თუ არა სარგებლის განაწილება ტრასტის ანგარიშის მფლობელის მიერ მოცემულ წელს.

## **მუხლი 12. მომსახურების გამწევი მესამე პირი**

1. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო პროცედურების და ანგარიშგების ვალდებულების შესასრულებლად ისარგებლოს მესამე პირის მომსახურებით. აღნიშნულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებაზე ეკისრება ფინანსურ ინსტიტუტს.



2. ფინანსური ინსტიტუტი, ანგარიშგებას დაქვემდებარებული იურისდიქციის საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრის გაცემასთან, მოპოვებასა და სტრუქტურის მახასიათებლებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინფორმაციის ავტომატური გაცვლის პორტალით.

### **მუხლი 13. საკრედიტო ბარათების კვალიფიციური გამცემები**

საკრედიტო ბარათების კვალიფიციური გამცემები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტის მოთხოვნებს, ამავე სტანდარტის მიზნებისთვის, ითვლებიან არაანგარიშმგებ ფინანსურ ინსტიტუტებად. ამასთანავე, საკრედიტო ბარათების კვალიფიციურ გამცემებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მომხმარებლის მიერ საკრედიტო ლიმიტს ზემოთ 50,000 აშშ დოლარზე (ან მის ეკვივალენტზე ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში) მეტის ბარათზე განთავსება ან უზრუნველყონ 60 დღის ვადაში ზემოთ აღნიშნული თანხის მომხმარებლისთვის უკან დაბრუნება.

### **მუხლი 14. ცალკეული სადეპოზიტო ანგარიშები**

სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ამავე სტანდარტის მიზნებისთვის, ასევე ითვლება ფინანსურ ანგარიშად, რომელიც არ ექვემდებარება ანგარიშგებას (გამონაკლისი ანგარიში). ამასთანავე, ფინანსურ ინსტიტუტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მომხმარებლის მიერ 50,000 აშშ დოლარზე (ან მის ეკვივალენტზე ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში) მეტის ბარათზე განთავსება ან უზრუნველყოს 60 დღის ვადაში ზემოთ აღნიშნული თანხის მომხმარებლისთვის უკან დაბრუნება.

### **მუხლი 15. პასიური ანგარიშები**

1. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია შეთანხმების მიზნებისთვის პასიური ანგარიში მიიჩნიოს ანგარიშად, რომელიც არ ექვემდებარება ანგარიშგებას (გამონაკლისი ანგარიში).

2. ანგარიშის პასიურად მიჩნევისთვის ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია დაეყრდნოს პასიური ანგარიშის განმარტებას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით ან ფინანსური ინსტიტუტის ჩვეულებრივი საოპერაციო პროცედურებით, იმ პირობით, რომ ფინანსურ ანგარიშზე განთავსებული წლიური აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 1,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში).

3. თუ პასიური ანგარიშის განმარტება არ არის განსაზღვრული ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია შეთანხმების მიზნებისთვის ანგარიში მიიჩნიოს პასიურად, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) ფინანსურ ანგარიშზე განთავსებული წლიური აგრეგირებული ნაშთი ან/და ღირებულება არ აღემატება 1,000 აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში);

ბ) ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსურ ანგარიშზე არ განხორციელებულა ოპერაცია;

გ) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ანგარიშის მფლობელის მიერ არ მომხდარა ფინანსურ ინსტიტუტთან კომუნიკაცია მოცემულ ან სხვა ანგარიშებთან დაკავშირებით;

დ) მოცემული ანგარიში არ არის დაკავშირებული სხვა აქტიურ ანგარიშთან, რომელიც ეკუთვნის ანგარიშის მფლობელს.



## მუხლი 16. დამატებითი მოთხოვნები

1. თუ ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიში იხურება წლის განმავლობაში, ანგარიშგებას ექვემდებარება მხოლოდ ანგარიშის დახურვის ფაქტი. ამასთან, ანგარიში არ უნდა იქნეს მიჩნეული დახურულად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ანგარიშის ბალანსი ან ღირებულება არის ნული ან უარყოფითი. ანგარიშის დახურვის პროცესი ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ან ფინანსური ინსტიტუტის ჩვეულებრივი საოპერაციო პროცედურების შესაბამისად.
2. ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია გამოიყენოს თვითდამოწმება სტანდარტისა და კომენტარების მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ ის იყოს ხელმისაწვდომი უფლებამოსილი უწყების მიერ გამოთხოვის შემთხვევაში.
3. ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მესამე მხარესთან დებს გარიგებებს, ვალდებულია ანგარიშგების მიზნებისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია მოიპოვოს ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით. მესამე მხარე ვალდებულია, ფინანსური ინსტიტუტის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია.
4. ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია სათანადო პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებული ჩანაწერები და მტკიცებულებები შეინახოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წარდგენის ვადის ამოწურვიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

## მუხლი 17. ინფორმაციის წარდგენა

1. შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ანგარიშგები ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია, ამ შეთანხმების ფარგლებში წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია, იმ იურისდიქციების რეზიდენტი პირების ანგარიშგებას დაქვემდებარებული თითოეული ფინანსური ანგარიშის თაობაზე, რომლებთანაც ამოქმედებულია შეთანხმება. აღნიშნული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება იმ კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, რომელსაც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგება, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 30 ივნისისა.
2. ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ყველა ფინანსური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშის მფლობელი პირების რეზიდენტობის იურისდიქციების მიხედვით. წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არადოკუმენტირებული ანგარიშების შესახებ.
3. თუ ფინანსურ ინსტიტუტს არ გააჩნია ანგარიშგებას დაქვემდებარებული არც ერთი ფინანსური ანგარიში, იგი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს ნულოვანი გზავნილი.
4. ფინანსური ინსტიტუტი შეთანხმებით გათვალისწინებულ ინფორმაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს მარკირების გაფართოებადი ენის (XML) სქემით.
5. ყოველი კალენდარული წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა, ფინანსურ ინსტიტუტს აქვს საგადასახადო ორგანოში გზავნილის განუსაზღვრელი ოდენობით გაგზავნის შესაძლებლობა. ამასთანავე, წარდგენილ გზავნილთა შორის ბოლო გზავნილი ჩაითვლება პირველად გზავნილად, ხოლო ბოლო გზავნილამდე წარდგენილ გზავნილში მითითებული ინფორმაცია არ გაითვალისწინება.
6. ფინანსურ ინსტიტუტს საგადასახადო ორგანოში გზავნილის გაგზავნის შესაძლებლობა ეზღუდება კალენდარული წლის 20 სექტემბრიდან ინფორმაციის მიმღები იურისდიქციებიდან გზავნილთან



დაკავშირებით სტატუსის მიღებამდე პერიოდში.

## **მუხლი 18. საგადასახადო ორგანოში ფინანსური ინსტიტუტის მიერ წარდგენილი გზავნილის სტატუსი**

1. საგადასახადო ორგანოში ფინანსური ინსტიტუტის მიერ გზავნილის წარდგენისას, თუ წარსადგენი გზავნილი აკმაყოფილებს ამ წესითა და სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, მას ენიჭება სტატუსი: „მიღებულია საგადასახადო ორგანოს მიერ“.

2. საგადასახადო ორგანოში ფინანსური ინსტიტუტის მიერ გზავნილის წარდგენისას, თუ წარსადგენი გზავნილი არ აკმაყოფილებს ამ წესითა და სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, ფინანსურ ინსტიტუტს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის შესახებ.

## **მუხლი 19. კორექტირებული გზავნილი**

ფინანსური ინსტიტუტი კორექტირებულ გზავნილს წარადგენს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ფინანსური ინსტიტუტი კალენდარული წლის 30 ივნისის შემდეგ პერიოდში გამოავლენს ხარვეზს საკუთარ პირველად გზავნილში, რომელსაც საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს სტატუსი „მიღებულია საგადასახადო ორგანოს მიერ“;

ბ) რეზიდენტობის იურისდიქციიდან მიღებული შეტყობინებით მოითხოვება გზავნილის კორექტირება.

